2
1956

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ნახ. გ. ლომაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა პურის ისეთი უხვი მოსავალი მიიღეს, რომ ასაღებად სხვა რაიონებსაც მიმართეს დახმარებისათვის. ჩოხატაურის რაიონმა დახმარების ძმური ხელი გაუწოდა ლაგოდეხელებს და მისაშველებლად სამი მწყობრიდან გამოსული ტრაქტორი გაუგზავნა, რომლებიც მაშინვე ჩადგნენ... გახურებულ კაპიტალურ რემონტში.

— თქვენ აპირებთ, უმაწვილებო, ჩემს აღებას?.. ძალიან დიდი წარმოდგენა გქონიათ საკუთარ თავზე!

ცისკარი

№ 14 ივლისი. თბილისი. გამოცემის წელი XXXIV ფასი 2 მან. 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. დ. ერისთავისა

სტანდარტული ტანსაცმლის ბრალია



მათ პირველივე ნახვაზე შეუყვარდათ ერთმანეთი...

მაგრამ სიყვარული ხანმოკლე გამოდგა...

ამბავი ერთი ინდაურის



ერთ არტელში თავმჯდომარედ წამოსკუპდა ინდაური,
(შეფი ჰყავდა დიდი ბატი,—ძმაკაცი და შინაური.)

დანიშვნის წინ, მან, ინდაურს მისცა ბრძნული დარიგება:
—შენც ჭამე და მეც მაჭამე,—სხვანაირად არ იქნება,

დაიხსომე, თუ გინდა, რომ ეგ ჩინჩახვი ამოავსო,
ეს ანდაზა: ხელი ხელს ბანს, ორივე კი—პირს და თავსო!

ინდაურმა მოისმინა ბრძნული რჩევა დიდი ბატის,
მეორე დღეს, ვით წესია, გამოსცვალა მთელი შტატი.

მოიწვია ახლობლები, გამოძებნა მეზობლები,
სალაროში ცოლი დასვა, ბუღალტრებად—ცოლისდები,

მოადგილედ დრუნჩა ღორი, მდივნად იხვი ცუგრუმელა,
ვირს საამქრო ჩააბარა, საწყობები მგელს და მელას.

შემდეგ ყველა გააფრთხილა: დაიხსომეთ, თუ არ გახსოვთ
ეს ანდაზა: ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირს და თავსო!

მეგობრებმა მყის შეფიცეს:—შენ ხარ ჩვენი მზე და მთვარე,
შენისთანა თავმჯდომარე არ ჰყოლია ამ ჩვენს მხარეს...

ორ კვირაში ერთი დღე აქვს, დანიშნული მთხოვნელთათვის,
ისიც ისე, ფორმალურად, მოისმინოს თხოვნა მათი.

კანში აღარ დაეტია, „დიდკაცობამ“ გადარია,
უმცროსებთან მგელი არი, უფროსებთან ბატკანია;

ყველაფერი აისრულა, რაც ბრძანა და დაიჟინა...
ცხვირი მაღლა აიბზიკა, გაიბლინძა, გაიჭიმა.

ხალხმა მალე შეამჩნია ინდაურის თავხედობა,—
ბატს აცნობეს, შეუთვალეს, თუ არტელში რაც ხდებოდა.

და დაიძრა საჩივრები ყოველ მხრიდან, ნელა-ნელა,
ზოგი ანონიმურია, ზოგმაც ხელი მოაწერა.

შეფმა ბრძანა:—ინდაური იკადრებდა ამას განა?
მყის არტელში მან „სასტიკი“ რევიზორი გააგზავნა.

თან უბრძანა,—საქმეები გაარკვიე ინდაურის,
და გახსოვდეს, იგი ჩემი ძმაკაცია, შინაური!

რევიზორი მოიხარა:—შევასრულებ მთელი გულით,
მეც ხომ მისი სასიძო ვარ, მისი ჭუკის დანიშნული!

ჩაუტარა სასიმამროს მან „სასტიკი“ რევიზია,—
„ხელი ხელს ბანს, ორივე პირს“—ეს ხომ მათი დევიზია!

კარგა ხანი პარპაშობდა ინდაური, მისი შტატიც...
მაგრამ ერთ დღეს სველ ნიჩაბზე დასვეს შეფი,—დიდი ბატი.

შემდეგ მოდგნენ ინდაურსაც, არ აყოვნეს ხანი ბევრი,—
მოუნახეს მას ადგილი ბატთან ერთად, შესაფერი!

ვამჩნევ, მკითხველს ეღიმება და თვის გულში ამბობს თანაც,—
მსგავსი ჯიშის ინდაურნი შეიძლება დღესაც გვყვანან!...

ამირან აფშილავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე ფიცარ-ლიბერ ხეთანა

«...როგორც სასამართლო სამსჯავრო გამოძიებიდან გამოირკვა ოლღა სიმონის ასული სარიშვილი და ვასილ ივანეს-ძე ტაგანაშვილი ცხოვრობდნენ ერთად ცოლქმრულ კავშირში 1941 წლის სექტემბრიდან 1942 წლის მარტამდე და ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე გაცილდნენ ერთმანეთისაგან.» ასე ლაკონიურად გვაცნობს ხაშურის რ-ნის 1 უბნის სახ. სასამართლო ამ ორი მოქალაქის «ცოლქმრული კავშირის» ხანმოკლე ისტორიას.

მაშ ასე, შეუღლდნენ—გასცილდნენ! სხვა არაფერი?!

არის კიდევ ერთი «რაღაც», რითაც ამ კავშირის მიზეზი ირკვევა. გავყვეთ სასამართლოს გადაწყვეტილებას: «ოლღა სარიშვილს შეუღლების დროს მოუტანია ერთი რკინის კრაოტი, ორი ლეგბი, ერთი საბანი, 4 ბალიში, სამი ქვაბი ერთი მთელი ორი გატეხილი, ერთი ტაფა და სარეცხი ლანჯა, ერთი ვენური სკამი და როგორც ირკვევა ოლღა სარიშვილსავე გადაუკეთებია თავის ტანზე აწ გარდაცვალებული ვ. ტაგანაშვილის პირველი ცოლის პალტო».

აქ ცოტა გრამატიკაში წავეხმარებით პატ. მოსამართლეს, რომელიც ჩვენში დარჩეს და, მართლმსაჯულებაშიც მოიკოჭლებს (თუ განგებ იკოჭლებს თავს, ეს სულერთია). ვ. ტაგანაშვილი არ გარდაცვლილა. ო. სარიშვილმა გადაიკეთა ვ. ტაგანაშვილის აწ გარდაცვალებული პირველი ცოლის პალტო. სასამართლო პროცესზე ერთმა მოქალაქემ შენიშნა, რომ ეს მაგალითი საკმარისია ო. სარიშვილის სიხარბის გამოსავლინებლად.

თუმცა იქ რას გამოავლენ, სადაც თაფლივით ტკბილ დაპირებებს აქვს ადგილი: «გაცივებულ კერას გავაღვივებ, ობლებს მოგივლი, იმ ცოდვისშვილებს, იმათა», გულში მჯიღის ჩაკვრით ირწმუნებოდა თურმე ოლღა, მაგრამ იგი მოულოდნელად გამოუჩნდა ვ. ტაგანაშვილის ობლებს «ვითარცა ვარსკვლავი ბედისა» და ამ ობლებისათვის ერთი ორჯერ თავში «წათაქების» შემდეგ კუდიანი ვარსკვლავივით მოულოდნელადვე გაქრა ჰორიზონტიდან.

მაშ რამ მიიზიდა სარიშვილი? ამის გასარკვევად ისევ სასამართლოს მივმართოთ, რომელიც ადგენს: «...მიეცეს ოლღა სარიშვილს ვასილ ტაგანაშვილის ბინიდან მდებარე ქ. ხაშურში კალინინის ქ. № 13-ში საცხოვრებლად. მხოლოდ მფლობელობის უფლებით. ერთი ოთახი აღმოსავლეთით მდებარე მეორე სართულზე».

აი, სად მარხია ძაღლის თავი. აი, ის საბედისწერო ოთახი, «მდებარე აღმოსავლეთით», სადაც გაშავდა ტაგანაშვილების მზე სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დღეს. ეს მოხდა 1942 წლის 21 მაისს.

მას შემდეგ ფეხი აიდგა ამ საქმემ და სასამართლოს ერთი ინსტანციიდან მეორეში დადის, რამდენჯერმე მოინახულა ხაშურისა და რესპუბლიკის პროკურატურა, საქ. უმაღლესი სასამართლო, ერთხელ საკავშირო უმაღლესი სასამართლოც იხილა. როცა ერთგან დაადგენენ: უარი ეთქვას ტაგანაშვილს სარიშვილის გამოსახლებაზე, მეორეგან წერენ: გამოსახლდეს სარიშვილი უკანონოდ დაკავებულ ბინიდან. აქ უკვე გამსახლებელთა მთელი «შტატი» სდგება — აღმასრულებლის, მილიციის, პროკურატურისა და ზოგჯერ ხაშურის ქალაქის საბჭოს წარმომადგენელთაგან, ეძიძილავებიან სარიშვილს, აჰა, საცაა გამოასახლებენ, და უცებ უმაღლეს სასამართლოდან. ან რესპუბლიკის პროკურატურიდან მოდის ქვის გამხეთქი ქაღალდი: შეაჩერეთ აღსრულება ჩვენს ახალ განკარგულებამდე! ასე შეჩერდა «აღსრულება» ოთხჯერ, დაიწერა ოთხი გადაწყვეტილება, გამოტანილ იქნა სამი დადგენილება და მთელ ამ გაწამაწიას ზუსტად თ ო თ ხ მ ე ტ ი გრძელი წელი დასჭირდა.

ო. სარიშვილი რაღას აკეთებს ამ ხანში? მან უკან წაიღო ტაშტი და ტაფა, ქვაბები — «ერთი მთელი ორი გატეხილი» და გულგატეხილი დასტოვა ტაგანაშვილი. თან, სანამ ეს საბედისწერო საკითხი საბოლოოდ გაირკვეოდა, ახალმიღებული ოთახი უცხო პირებს მიაქირავა. მიაქირავა და გაღმა შეტევის პოლიტიკაც იხმარა—ომი გამოუცხადა ტაგანაშვილს, მეზობლებს, ყველას დაჭერითა და გადასახლებით დაემუქრა, ზოგს ქვა მოუღერა, ზოგს—კეტი და, წარმოიდგინეთ, შერჩა კიდეც. ან რა არის აქ გასაკვირი? ზოგიერთი უხეირო მოსამართლის წყალობით ო. სარიშვილმა ორი ბინა შეირჩინა. ერთი ხომ, დახმარებითა სხვათა და სხვათა, ტაგანაშვილებს წაგლიჯა, მეორე მისი პირველი ქმრის ბინაა. ქმარი გარდაიცვალა, ბინა მას დარჩა, ესეც ხაშურში. თავისუფლების ქუჩაზე. № 39. მალე ეს ბინაც გააქირავა და, როგორც ეტყობა, კარგ ფასშიც აქირავებს, კარგი შემოსავალი აქვს, არსად მუშაობს, ზის არხეინად... არავინ დარდობს, რომ ტაგანაშვილის რვა სულისაგან შემდგარი ოჯახი ერთ ოთახშია შეკუნჭული. რა ვუყოთ მერე? სასამართლო გადაწყვეტილებაში ხომ წერია, ვ. ტაგანაშვილს 6 ოთახი აქვსო. ვასილს ქაღალდზე დაწერილიც ეყოფა თავზე გადასაფარებლად, აქ მთავარია—ოლღას პრეტენზია!

ასე ტრიალებდა ეს «საქმე» შამფურივით და იწვებოდა ვ. ტაგანაშვილი უსამართლო მოსამართლეთა ხელით დანთებულ ნელ ცეცხლზე.

და აი, 1955 წლის 29 აპრილს, 14 წლის შემდეგ, საქ. უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი თავისი № 39 დადგენილებით ნიადაგს აცლის ვ. ტაგანაშვილს, საბოლოო უარს ეუბნება სარიშვილის გამოსახლებაზე და საქმეს წარმოებით სპობს.

განა რა მოხდა ასეთი? 14 წლის მანძილზე ასახლებდნენ სარიშვილს, ძვრაც ვერ უყვეს. და რაკი ვერ მოერიენ. შერჩესო? არა. სარიშვილს სადღაც ახალი მამიდა გამოუჩნდა. სადღაც გაიჩარხა ცნობა, ვითომ პირველი ქმრის ოთახი სარიშვილს კი არა, მის შვილიშვილს ეკუთვნის, რომლის მამაც ფრონტზე დაიღუპაო! ამ «საბუთით» რესპუბლიკის პროკურატურა პროტესტით წარსდგა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და... ტაგანაშვილის იმედს საბოლოოდ გამოეთხარა ძირი.

ჩვენ ამ საქმეს ცოტას დაეუმატებთ: ასეთი ცნობა არ არსებობს, იგი არ გაუცია ქ. ხაშურის არც ერთ ორგანიზაციას, იგი ყალბია და ცრუ, როგორც მთელი ეს დანაშაულებრივად გაჭიანურებული საქმე. მაშ ვინ შეიყვანა შეცდომაში რესპუბლიკის პროკურატურა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი?

ეს ისევ პროკურატურამ და სასამართლომ უნდა არკვიოს!

ახლა რასა იქს სარიშვილი? ალბათ ახალ ბინას ეძებს!..

ვ. ჯამბაკური

— ცუცუნი, ცუცუნი... თქვენც მოემზადეთ და მათიკოს ოჯახსაც შეატყობინეთ... ტიტიკო კულტმუშაკად მოეწყო დასასვენებელ სახლში... წავიდეთ, რა გვენაღვლება!..

ოქტომბრის ბრძოლებიდან

ანუ ამბავი მოსავლის აღებისა ლაგოდეხის რაიონში

მოსავლის აღებამ წელს ლაგოდეხის რაიონში ქუდზე კაცი მოითხოვა. პოტტერად რომ ეთქვათ, „ეოვარდ ოქროს ნიალეარი“, დამწიფდა თავთავი და, აბა, სადა ხარ სიმარჯვეე და საჩრიანობავ! იმარჯვეი – ხელში გაქვს უდანაკარგო მოსავალი, ზუბინს მოპკვეები – წვეებული საქმე, მწიფე ყანა შე. კი არ დაგიცდის!

ამბობთა, რომ ახლა ლაგოდეხის რაიონში ქალი თუ კაცი მინდერეკის მოსდგანა, უზე მოსავალს ხალოსიც უნეი მოუტანია და, როგორც იტყვიან, ყველა ჯარასავთ ტრიალებს.

ჯოდ, კაი მოსავალი ნურასოდეს მოგაკლოთ, ლაგოდეხელო, მოდი ერთი ნიანეური თვალგადაყლება მოვამდინოთ, ენაბოთ—ეისი ჯარა როგორ ტრიალებს!

თვალების ფუფნეტების შესახებ

წელს ლაგოდეხის რაიონი 9000 ჰექტარზე იღებს მოსავალს, აქ რაიონსა სამი მტს-ი მუშაობს და ათობით კომბაინი ტარიალებს მინდერეკში. თქვენთვის წარმოსადგენია, თუ რამდენი „კომბაინდღეე“, „კაცდღეე“ და „ტრაქტორდღეე“ იქნება საქირო, რომ ზღვა მოსავალს თავისი ადგილი მიუნიონ კოლმეურნეობებმა. მაგრამ აი, რატომღაც სოფ. შრომის კოლეურნეობა „ლენინის ანდერძის“ და სოფ. სეფოდნოეს ფრუნზეს სახელობის კოლეურნეობათა თავმჯდომარეებს დაავიწყდათ აქაზე ჩაფეკრება: „ლენინის ანდერძში“ მოსავლის მოსთავსებულად ბეღლები ჯერ მზად არა აქვთ (თუმცა რას ვამბობთ, დანაგვიანებულ ბეღლებში უკვე მოსახურეს სადენინფეკციონ ხსნარი, ბერე რა, რომ ნაგავი ჯერ არ გაუტანიათ!), ხოლო სეფოდნოეს კოლეურნეობას დაავგიანდა მინდერად გასვლა, თავთავი ჩაწვა და დანაკარგები გაიზარდა.

საერთოდ, ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზალიკო აბაზაძეს უკვანრი ქკვანერი გამოთქმა — „მოსავალს მოკდა ენდაო“, უკადა კიდეც. მაგრამ ნახეი რა უმადურია „მოცდილი“ მოსავალი, იგი ხთრს არ უწევს აბაზაძეს, ერთ დღესაც კი არ უკადის, რომ არ გადამწიფდეს, არ ჩაიფანტოს თავთავი, სანამ ზალიკო თვალებს მოიფშვნეტდეს და ფაცაფუტს თავს გაართმევდეს.

ასეთი „ცდის“ შედეგია ისიც, რომ კოლმეურნეობის ახალჩაყრილ ვენახსა და ყაზანლიყის ეარდის პლანტაციებში ლიბი გაჩენილა და ძვირფას ნარგავებზე სარეველას გადაუეცია!

სარეველების „მეცნიერი“

ლაგოდეხის ბუნება კარგ მოსავალს იძლევა, მაგრამ ბუნებამ მარგალი არ იცის. ესა მიზეზი, რომ იმ ნაკვეთებზე, სადაც მარგალს არ ეწევიან, ან თესლბრუნვის ამახინჯებენ, ზალაფა და ღოლო უსწრებს ჯეჯილს, ზრიოუკა ერევა ყანაში, მოსავალს ბარაკა ეკარგება. სტატისტიკა შორს წავეიკანდა, მაგრამ სოფელ ყარსუნნის პერის ყანების ნახვამ ერთი შტრიხი მაინც მოითხოვა.

მშვენიერი ნათესები აქვს სოფ. ყარსუნნის გაზ. „პრავდას“ სახ. კოლმეურნეობას. მაგრამ აქ პურის ყანის ერთ ნაკვეთში ახლა სქელკაჟა ღოლო და ზრიოუკა სჭარბობს. გამოიწვია ეს ჯეჯილის გაუმარგალობამ და, რაც მთავრია, თესლბრუნვის წესებმა დარღვევამ... ეს მშვენიერად იცის ეარდისუბნის მტს-ის მთავარმა აგრონომმა გ. გოგიშვილმა. მას შეეკადრეთ, მაგრამ ჩვენს „გასანათლებლად“ გოგიშვილმა სწავლულის პოზა მიიღო და „დაგვაჯარა“:

— შერიუკა და ღოლო დაუმარცხებელი მცენარეებია, მათთან ბრძოლაში მეცნიერება უძლურაა.

ახ, ახ, ნუთუ მართალ? რაღაც არ გვჯერა, ამხანაგო მთავარო აგრონომო! ეს ჩვენში დარჩეს, თქვენი რაიონის კოლმეურნეებს მაინც ნე ჩაგონებთ სარეველების ამ „ღირსი მეცნიერებას!“

დანაკარგია, თანაკარგია?

ერთხელ კიდევ უნდა აღენიშნოთ, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას „მოულოდნელად“, ასე ეთქვათ, მიპარეით დაეცხრა თავს მოსავლის აღების ვადა!

ამბობენ რა გასამტკუნია, მაგალითად, ვარდისუბნის მტს-ის ზონის სოფელ ახალი საკობოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბეგინ სესაიშვილი, თუ იქაც მიპარვით დაიწყო მკის დრო, ყანა გადამწიფდა, თავთავი იმნეკა და დანაკარგები იზრდება?

— თავთავს ხელით აკარეფთ. მაგისთვის ცალკე ბრიგადები გამოვყავეთო.— დაგვარწმუნა სესაიშვილმა, მაგრამ... ეარი მოიმკო, თავთავი მინაზე გაიფინა, ნაწვეარები ტრაქტორები შეეშვეს და დანაკარგების ნაწილი კვლებში ჩაახნეს, ხოლო ნაწილი თავვეებსა და ბეღურეებს დაუტოვეს.

ახ, ეს თავვები და ბეღურები!.. ყანაში ჩაბნეული შარცალი რომ არ მოეპარათ, მაშინ ხომ ნაწვეარალი სიმინდის ვვერდით პურიც მოიწონებდა თავს!

„თავდადებული“ მექანიზატორი და სხვა

ლაგოდეხის მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადა სოფ. სეფოდნოეს ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში იღებს მოსავალს. აქ თვითმავალ კომბაინს ერთი პატარა დეტალი დასჭირდა, რისთვისაც ამერიკეს მექანიზატორი ნიკოლოზ ჩერნიკი.

ეს იყო წუთების საქმე, მაგრამ ჩაიყლაპა ჩერნიკი, დღე ღლიბინი გაეიდა. სალამოთი სასწრაფო საქმეზე მიელინებული მექანიზატორი ვერხვების ჩრდილში იპოვეს, ხერონავდა... ბალაბებზე თავმიდებული.

იცით როგორ დასაჯეს კომბაინის და ბრიგადის გამეცდინ? ჩერნიკი დღესაც იქ მუშაობს.

— მე ბრიგადირი მაშენკო მიცნობს, თავდადებული მექანიზატორი ვარ, ჩრდილში ძილისთვის, აბა, ვინ ჩამოუბრჭვიათო?—აცხადებს ჩერნიკი.

ოღონდაც, თუ ამით ჩრდილი არ აღგება ნამდვილ მუშაკს!

რას ერჩით კულტურას?

მოსავლის აღების დღეებში მინდერად კულტურული მომსახურება, სულ უბრალო გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მეტად საყურადღებო უბანია. ეს ყურადღებიდან გამორჩენილი ბეერანი. ჩვენ იმავე ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობას დავასაბუთებდით, რომ ასეევ არ იყოს ბეერანა. ბიბლიოთეკის გამგემ ახლა შეუწყვეტა ეურნალ-გაზეთები მინდერად მომუშავეებს, ზოგან მინდერად არ ტარდება ავიტაცია, არ გამოდის საეელე გაზეთი. სოფელ კალინოვკის კლუბ-ბიბლიოთეკაში აბრეშუმის ეია მოუთავსებიათ, ეუცდიან: შემოდგომა დადგება, მოსავალს დავბინავებთ და კლუბებში დამშვიდებით „გოგეშლით“ მეშოპასო!

მართლაც და „დამშვიდებული“ მუშაობა სჯობია, თორემ, აბა, რას ერჩიან კულტურას?

დავით მეგზური

ოქტომბერზე

აბითურიენი — ჩვენთვისაც რომ იყოს ნებადართული ასე ხმამაღალი კარნახი, იცცხლე, კარგადვავბარებდით... ამათ კი უკარნახებენ და მაინც ვერ გაუმეორებიათ.

ერთ ინაგორიუმში

— ეკმიმ, ბუზებმა შეგვაწუხეს, ვეღარ დაგვისვენეს.

— თქვენც სადილობის დროს დაისვენეთ, მაშინ ბუზები სამზარეულოში არიან.

ხელუხლებელი ფონდი

არ-იქა და ვერ დაარწმუნეს ძველი ლუქსების ბრიგადა გამოცემაა მარად „ახალგარდა“ ატორი, რომ მისი „ჩრდილდარ ფეხთა ვალოეტა საჭირო არ იყო.

პოეტს ჩვეულებად ჰქონდა, ეოცა თანამედროვის ეპოს ეაკეთებდა (თუ ეს პიროვნება რაგზეი ბამოდგებოდა), თავიანი წყენი მიეტანა. თან ისეთ ეპიტეტს ეაწერდა ზიდა სატირული ვეერდის მარკეზეა ქუთეზენი, რომ ადგილები დადასტურებულ ეპიტეტებად ეიქცეოდა. ეკეთ ეკეთ ეიდეოდა ოწოდ და ინეოლეული იყო ამ ეტიტეტა წოვენი. ამ ეკეთ ეკეთ ეაწერა.

ამ დღეს პოეტი რაიონში ამიიეკანა ეასეკეთა. ეორტეულეთ რამდენიმე ეუკეი ეარწერაგადეოეულ ეკეთ ჩანაწერ ეკეთ ეკეთ ეკეთ ეკეთ ეკეთ თანამედროვის კაცი, რომელმაც ამაბარ ეკეთ ეკეთ ეკეთ ეკეთ ეკეთ ბილეთი.

„აქნევ ერთ ეკეეში მოეეხეთეთო“.—ეკიეიკეა და ეკიდეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ზ. ლეჟავანი

— რატომ აწუხებთ ამდენ ხალხს, ან ბავშვს რას აწვალებთ? ხომ ხედავთ, რომ სმენა სრულებით არა აქვს!

— სამაგიეროდ ბეკერის სისტემის როიალი აქვს, ტყვილა ხომ არ ვუყიდეთ?!..

გამომცდელი—აბა მითხარით მარტივი გავრცელებული წინადადება.

აბითურიენტი—„წავიდეთ, დავლიოთ“.

ზოგჯერ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ კონკურსებზე აბითურიენტს „ანიჭებენ გამარჯვებას“ მიისპორტული მონაცემების გამო.

ნახ. გ. ლომიძისა



ნახ. ო. ჯიშკარიანისა

— პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემყავს...

— მიდრეკილება აქვს?

— დიახ, სიმღერის და ცეკვის.



გამოცდების დაჭერა.

უცხოური იუმორი

ევა

ერთ მშვენიერ დღეს ადამმა ცოლს უთხრა:

— ჩემო მეგობარო, დღევანდელი დღე სწორედ სანადიროდ გათენებულა, მე წავალ, მალე დავბრუნდები.

და წავიდა. მაგრამ ევას მოეჩვენა, რომ ქმარმა დაიგვიანა და, როცა ადამი დაბრუნდა, შეეკითხა:

— რას აკეთებდი მთელ დღეს?

— აკი გითხარი, სანადიროდ მივდივარმეთქი.

— სანადიროდ? ასე დიდხანს? შენ რაღაცას მიმალავ, შეგიძლია დაიფიცო, რომ იქ არავის შეხვედრიხარ?

— რას ამბობ, ჩემო ძვირფასო,—უპასუხა ადამმა,—ვის უნდა შევხვედროდი, როცა მე და შენ დედამიწის ერთადერთი მკვიდრნი ვართ? აბა დაფიქრდი!

ადამმა მხრები აიწურა და დასაძინებლად წავიდა.

დარწმუნდა თუ არა ევა, რომ ადამი ღრმა ძილს მიეცა, აჩქარებით დაიხარა მის წინ და სათითაოდ დაუთვალა ყველა ნეკნი.

ლოიალობა

— მე შენ აღარ გიყვარვარ,—ქვითინებს ახალგაზრდა ცოლი,—დარწმუნებული ვარ, ქორწინებამდე გაცილებით უფრო გიყვარდი.

— შესაძლოა, — უპასუხებს ქმარი, — მე არასოდეს მყვარებია გათხოვილი ქალები.

ასოციაცია

— დედიკო, რა არის ქურდობა?—კითხულობს შვილი.

—აი, წარმოიდგინე, რომ მე ხელს ვყოფ იმ კაცის პალტოს ჯიბეში და ვიღებ ფულს. ვინ ვარ მე?

— იმ კაცის ცოლი!

(„შპილკი“—პოლონეთი).

მოდების მსხვერპლი



მთელ საათს ეძებდა ფუნჯს...

და ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა!..

კურორტის შემდეგ

ნახ. გ. ფირცხალავასი

სკამი ვინ გამომიცვალა?!

საპარიკმახერო არსად იცი?

— საპარიკმახერო არსად გეგულება? წვერი მაქვს გასაპარსი,—შემეკითხა ერთი ჩემი ნაცნობი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში ცხოვრობს.

ასეთი შეკითხვა ვის არ გააკვირვებს, როცა თბილისში ყოველ მეორე სახლს „საპარიკმახერო“ აწერია· მეც გამიკვირდა, გამეცინა კიდეც. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, სულაც არ ყოფილა სასაცილო.

აი რა მიამბო ჩემმა ნაცნობმა:

— ჩამოვედი თუ არა თბილისში, მაშინვე უახლოეს საპარიკმახეროს მივაკითხე, სალაროში 4 მანეთი და 80 კაპიკი გადავიხადე და დალაქის სავარძელში გამოვიჭიმე.

დატრიალდა ჩემი დალაქი და მართლაც გამალამაზა იმ დალოცვილმა... ვიფიქრე, ამას რაღას მოვცილდებიმეთქი, და მეორედაც იმასთან მივედი. ისევ ავიღე ქვითარი, ისევ გამოვიჭიმე სავარძელში, მაგრამ... თქვენს მტერს, მე რომ დღე დამადგა. რასაც მოკიდა ხელი—საკრეჭ მანქანას, მაკრატელს თუ სამართებელს, ყველა ისე იყო დაბლაგვებული, რომ არ ვიცოდი, სიმწრისაგან რა მექნა...

ვიფიქრე, რა ღმერთი გაუწყრა-მეთქი, მაგრამ სირცხვილით როგორ ვიტყოდი, იობის მოთმინება გამოვიჩინე.

ახლა არ იტყვი, როგორ გამკრიჭა? სახლში რომ მივედი, თან მცნობდნენ, თან ვერა. ბოლოს ერთი მეზობელი შემეკითხა, დალაქს ფული თუ აჩუქეო?

მივხვდი, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ამის შემდეგ როგორღა მოვქცეულიყავი? მე იმდენი არა მაქვს, რომ ვინმეს ტყუილუბრალოდ ვაჩუქო ფული! არადა, ეს ოხერი თმა-წვერი რომ თავისას არ იშლის და ყოველ მესამე დღეს ნაღდი ზარალი მოაქვს? ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვიცოდვილე და ბოლოს ერთ გამოსავალს მივაგენი—.გადავწყვიტე, სულ სხვადასხვა საპარიკმახეროებში მევლო.

რომელ საპარიკმახეროშიც პირველად შევალ, მაშინვე მომვარდება ხელოსანი: რას ინებებთ, დაბრძანდით, რომელი გნებავთ, „ტრაინოი“ თუ „სირენი“... ხელებს მითათუნებს, მეფერება და გზა და გზა, რომ არ მოვიწყინო, ანეგდოტებსაც მიყვება.

აბა საიდან ეცოდინება, რომ ყოველივე ამის შემდეგ ერთ კაპიკსაც არ ვაჩუქებ?!. მე კი ახალ საპარიკმახეროს და ახალ დალაქს ვეძებ. შენი ჭირიმე, ამ უბანში პირველად ვარ, მიმასწავლე აქაური საპარიკმახერო! — დაამთავრა ჩემმა ნაცნობმა.

უშ. ზარეკიძე

რედაქტორი—ვახტანგ ჭელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ხ. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нианги». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამოც. № 14. ხელმოწ. დასაბ. 27/VII-1956 წ. ქაღ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5.
შეკვ. № 828. უე 05356. ტირ. 25.000.

ილიას სახლ-მუზეუმის ეზოს საგურამოში, დირექციის პროტესტის მიუხედავად, საექსკურსიოდ ჩასული ზოგიერთი პირები ხშირად გაუთავებელი ღრეობის ადგილად აქცევენ ხოლმე.

ნახ. ჯ. ლოლუასი

„ქაცია—ადამიანი?!“